საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 7 ივნისი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 20:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
8. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“

განსახილველი საკითხები:

1. მიმდინარე საკითხების განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილული იყო მედიასთან დაკავშირებული საკითხები. საკითხი დეტალურად მიმოიხილა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა.

12 პუნქტიანი რეკომენდაციების ერთ-ერთი პინქტი, სწორედ მედიის ნაწილს შეეხება, სესაბამისდ ამ მიმართულებით სამუშაო პროცესი პარლამენტში მიმდინარეობს. პარმანენტმა მოამზადა ცვლილებების პაკეტი „მაუწყებლობის შესახებ კანონში“.

საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ნათია კუპრაშვილი, პირველი ჯგუფის კოორდინატორი და პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, ლაშა ტუღუში, სამუშაო შეხვედრებს მართავდნენ საქართელოს პარლამენტის და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეებთან. სამუშაო შეხვედრები იმართებოდა მომზადებული ცვლილებების პროექტის შესახებ. ასევე, სამუშაო შეხვედრა გაიმართა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარესთა. შეხვედრაზე მუხლობრივად განიხილეს და იმსჯელეს „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილებების თაობაზე კანონპროექტი.
ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ცვლილებების ეს პაკეტი არ შეესაბამება ევროპულ დირექტივებს და მისი ამ რედაქციით მიღება მედია გარემოს დამატებით პრობლემებს შეუქმნის.
საქართველოს პარლამენტში გამართული არაერთი სამუშო შეხვედრის შემდეგ, ეროვნული პლატფორის წარმომადგენელთა უშუალო ჩართულობით, ის ცვლილებები შევიდა შემოთავაზებულ პროექტში, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

გაწეული სამუშაოს შედეგად, კომიტეტმა დააინიცირა კანონიში შესატანი ცვლილებები იმ რედაქციით, რომელიც შემუშავდა თანამშრომლობის შედეგად. მომდევნო კვირაში ცვლილებების პროექტი გავა პლენარულ მოსმენაზე.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე